

6. [ძველისწერა რუის-შრანისის კრებისა]

[1100 წ.]

[238] ძველისწერაა წმიდისა და ღმრთივ შერებულისა კრებისა, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ-დაცველისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა<sup>1</sup> რანთა და კახთა მეფისა, პირთათჳს რომელნი ქუეშა მოჰსენებულ არიან<sup>2</sup>.

[შისაგალი]

ყოვლისავე წილელისა და უხილავისა სოფლისა და ყოველთა-ვე საცნაურთა და გრძობადთა ბუნებათა არაარსისაგან არსებად მომყვანებულმან ღმერთმან უხილავთა მათ და ზესთა სოფლისათა ძალთა ბუნებად უკუდავებითა და უბრწუნებლბითა შეაკყო: ხოლო ქუენაჲსა ამის სოფლისაგანნი ყოველნი კმნისა და ბრწინილუმისა შორის განაწესნა.

ამისსა შემდგომად მოიგონა ახალი რამე და უცხოჲ დაბადე-ბული, რომელსა თვთ მის თავადისაცა დაბადებულისა, და სიტყვე-რისა და პირუტყვისა და ყოვლისავე ავებულისა ბუნებისა ზიარებაჲ თავსა შორის თვისსა მოაქუნდეს. და მის მიერ, ვითარცა საზოგადოა-სა საერევლისა მიერ, შეერთებად ღმრთისა შემოკრბებოდინ ყოველ-ნი დაბადებულნი; და თანად ბუთნივე სახენი ყოველთა არსთა გან-ყოფილებისანი დაიჰსნებოდინ; რომელი ვითარცა მეორე რამე სო-ფელი მცირე დიდსა შინა, ანუ დიდი მცირესა შინა, დაადვიანა ქუე-ყანასა ზედა, ღმრთივ შუენიერი<sup>3</sup> იგი და დიდებული სამოთხე დას-ხა აღმოსავალსა ედემისასა.

გარნა ეინადიგან მან წიეთად თვთმელობელისა მიცემული მის-და სკული წინაუკემოდ საღმრთოასა ნებისა იქუშია. და შერითა

<sup>1</sup> კართველთა AB. <sup>2</sup> ქრთა B.  
<sup>3</sup> სათაღრი ხელნაწერსა სინტრიითა დაწერილი.

ქშეიკისათა და განმცდებლობითა დედაკაცისათა ცთომილი ძელი-სა მისგან ცხორებისა და სამოთხისა და ღმრთისა სიბოროტისათჳს ექსორია იქნა და სიკუდილითა და ბრწინილებითა დასჯილი, ბევრე-ულთა ვნებათა და ძვრთა მიერ უფლებულ იქმნა.

რამეთუ პირველად სისხლთა მიერ მისათა შეწამულ მყოველ-მან ჯელთამან კაინ კულად შეორისა ღმრთისა მიერისა წყევლისა თა-ნამდებ ყო ქუეყანაჲ.

მერმე სიბოროტემან გმირთამან შენანებაჲ არწმუნა დამბა-<sup>[V]</sup>ლებელსა უცხოასა მის ცხოველისა კაცისა ესოდნე<sup>4</sup> საკვირვე-ლებით დაბადებებისა; და წყლითა რღუნისათა აღჴოცად ყოველისა აღმდგომისაჲ პირისაგან მიწისა.

ამისსა შემდგომად, სილალითმან ჯელყოფამან გოდლის მამუნე-ბელთამან, შერეენითა ენათაჲთა და მიმოდაყოფითა ნათესაეთაჲთა<sup>5</sup>, შეოთხედ დასაჯა ნათესაეი კეთაჲ.

ხოლო გამოჩინებამან კერბთა<sup>6</sup> სიბოროტისამან და ნაცვალად დაბადებულისა მსახურებამან დაბადებულისამან სრულიად განა-შორა და უცხო ყო კაცი შემოქმედისა ღმრთისაგან.

მერმე დაღადებამან სოდომელთა სიბილწით სლვისამან წუნწუ-პასა<sup>7</sup> თანა აღრფელითა ცეცხლითა მოწუყად აძელა<sup>8</sup> სოფლები<sup>9</sup> ხეთქილაჭისაჲ.

კულად გულფიცებლობასა ფარაომისასა და უსახურებასა მეგვ-პტელთისა უცხოთა მძლავრებათათჳს უცხოჲ მიეგო მისაგებელი, და გუამთა მათთა — უცხოდ დამშარბველი<sup>10</sup> საფლავები.

ამისსა შემდგომად დიდა მოსე, შჭული, მღვდლობაჲ, მსხუ-ერპლნი, საღონებელნი თითო სახენი, მსაჯულნი, მეფობაჲ, წინაა-წარმეტყუელებება, ყოფადთა წინააღწარი ცნობაჲ, სახის შეცვალე-ბითნი ღმრთის გამოცხადებანი.

მერმეკა კულად კერპთმსახურებაჲ, თვთ მის მოსეს მიერ ეგვპტით გამოყვანებულისა და სჯულდებულისა, და ესოდნთა პა-ტიეთა ღირს-ქმნულისა, და პირშშოდ მედ აღსარებულისა ერისაჲ.

ამისსა შემდგომად კულად მძლავრებაჲ, კულად ტყუეობაჲ მრავალჯზის მრავალთა ნათესაეთა, და უკუანაასკენლ ჰაბილოვნელ-თა მიერი, რომელთა მეფისა ღმრთის წინა-აღმდგომსა მოგონებასა საქმით ამხილეს სამთა მათ ჳბაუეთა ისრაიტელითა, რაჲამს საერველ-თა<sup>11</sup> რკინისათა განმლეველმან საკუშილმან შეუხებელად დაიცვნა

<sup>1</sup> ესოდენი — B. <sup>2</sup> ნათესაეთთ A. <sup>3</sup> კერბთა A. <sup>4</sup> წუნწუნბასა A. <sup>5</sup> აძელ-ლა A. <sup>6</sup> სოფები B. <sup>7</sup> დამარბველი A. <sup>8</sup> საჯრველთა A.

მათნი ადგილად განსაღებენლნი თმანი და შესამოსელნი, მერმეცა კელად ქალაქი და ტაბარი, კელად სჯული და მღვდლობა.

და რაოდენნი რაჲ იყვნეს სჯულისანი, და საკრველსა მის სჯულიერისა მსახურებისანი, გარნა ვერცა ერთი რაჲ პირველ თქუძულთა ამათგანი შემძლებელ იქმნა კურნებად ბუნებისა, ვინც<sup>[239]</sup>თუ მტანჯველობითა და საშინელებათა, ანუ ქველის-მოქმედებითა სიტკბობათაგანი, რომელთა თანა სჯულნიცა უქმ იყვნეს, ბუნებისა ვიტყუა და დაწერილსა, და უძლიერესი საქმარ იყო წამალი საღმობათათჳს უბოროტესთა.

ამისთჳს, თუთ გუამოვიანი იგი სიბრძნე და ძალი და თანა-არსი ღმრთისა მამისა სიტყუად, რომელი დასაბამად იყო, და ღმრთისა თანა იყო, და მარადის იყო, მოვიდა ხატისა თვისისა და უბრწუნელთა მათგან და ყოვლად უბიწოთა სისხლთა ჳეშმარტებით, და საკუთრად ღმრთის-მშობელისა მარადის ქალწულისათა კორცნი შეიძინა კორცათჳს, და სულსა ვინიერსა და სიტყურსა შეეზავა, სულისათჳს ჩემისა მსგავსითა მსგავსსა განწმებად, რამეთუ მიუღებელი უკურნებელიცა არს, და თვისისა ქმნულისა წილ თუთ მითყოლად ბრძოლად.

და ესრეთ, ყოველივე კორცთა მიერი განგებულებამ, ჳარისათანა ვენებათ, საფლავსა და ღმრთიე-შუენიერსა აღდგომასა, სრულყო რაჲ, ქუეყანასა ზედა დიდებით აღმავალმან ზეცად, წარავლინნა ათორმეტნი მოწიფენი თჳსნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა, რათა ღმრთისა მეცნიერებისა ნათლითა, ყოველით კერძო სოფლისადათ განჭადონ ბნელი უღმრთოებისა, და, სახელისა მიმართ წმიდისა სამებისა ნათლის-ცემითა, ასწაონ თაყუანისცემად თანა-არსისა ერთღმრთეებისა, და, დამარხებითა საცხოვრებელთა მცენებათადათ, კელად აგნენ კაცნი პირველსავე ნეტარებისა დიდებასა.

ესენი, ვითარცა შარავანდენი მზისა მის სიმათლისანი, ვანუფინეს რაჲ კიდეთა ქუეყანისათა, ყოველი ნეთი კერპობრგნეულისა უღმრთოებისა მანჯლითა სულისადათ მოჭრეს და ცვესლითა სარწმუნოებისადათ მოწუეს; და ვრჭუნითა ჳუარისადათ მოიორნატნეს გულნი შემწყნარებელთა კაცთანი.

და დასთესეს მათ შორის თესლი კეთილად მსახურისა სარწმუნოებისა და მბოლომსა და ჳეშმარტისა ღმრთისა მსახურებით თაყუანისცემად; მრავალთა და სიცრუეთი მოპონებულთა ღმერთთა წილ ღმრთიე-შუენიერებით ასწავეს; და-საკებრბოთა მათ წილ ტა-

<sup>1</sup> მღვდელი B.

ძართა და ბომონთა, სიბრავლენი ეკლესიქათა და საკურთხეველთანი აღუშართნეს ღმერთსა, ყოველით კერძო ქუეყანისადათ.

და სიმუღილი სოფლისა და მტერობა კორცთა რწმუნებით ასწავეს მათ, რომელთა-იგი ღმრთად შეერაცხა სოფელი და კორციელთა გემოთა მძლავრებისადა მონად მიეცნეს თაენი; და განცოფებული იგი სიბრძნე ელენებრისა სიტკბრისა ვიეთისამე, სიბრტივითა ღმრთიე-სწავლულისა მათდა სიბრძნისადათ, რომლისათჳს იგი პავლესს მასობდეს ათინელნი, ყოვლად სიბრძნით მხილებულ-ყვეს, და არცა ერთისა სიტყუსა ღირსად ვამოაჩინეს მათნი იგი ზღაპართ-მწერლობითნი კელოვნებანი.

და დიდისა კლემენტოსის მიერ დასტნეს კანონნი საეკლესიონი, რიცხუთ ოთხმოცდახუთანი.

რომელთაგანი ერთი, პირველ-წოდებული ანდრია, მამა თავისა მოციქულთაასა პეტრესი, ვიდრე ჩუენდამდევთა მოიწია და ჳადავა საცხოვრებელი ჳადაგება სახარებისადა ყოველსა ქუეყანასა საქართველოსასა; და ურჩივხნი სიბრავლენი ერთანი განაშორნა საკუთრისაგან მრჩობლ ეშმაკეულებისა; და ერთისა ღმრთისა და ქრისტეს მისისა თანაარსით მათით სულითურთ რწმუნებით თაყუანისცემად ასწავა; დალათუ უმრავლესმან ერმან ქართლისამან სიბრავლესა შინა ეამისასა დივიწყა ჳადაგება იგი მოციქულისა, და საკუთრისავე მიმართ კერბოთადათა მიაქცია.

ამათისა ჳადაგებისა ნაყოფად აღმოცენნეს ყოველით კერძო ყოვლისა სოფლისადათ სიბრავლენი ღუაწლისა დამღებელისა ქრისტეს სიკუდილსა მიმსგავსებულთა წმიდათა მოწამეთანი; ვინაითგან სამასნი, მიკრებლთა სხუათა თანა, ვიდრე მეფედ ჳადაგებადმედ დიდისა კოსტანტინესსა შორის გარდატლეს წელიწადნი, რომელი-იგი პირველად ქრისტიანე იქმნა მეფეთა შორის და თუთ მოციქულ და ჳადეველ საცხოვრებელისა ჳადაგებისა, და ნათელსა თაეისუფლებისა მიმდევრელ ქრისტეანეთა<sup>2</sup> ღმრთიე-შუენიერისა მოქალაქობისა.

ამისთავე უკუე ეამთა სრულიად მომხენდა ჩუენცა<sup>3</sup> აღმოსავალმან მალლით და დედაკაცისა ვისმე მიერ ტყუეჭმულისა, რომელსა-იგი ნუნა და კაპადუციელად აქა სადმე პონელი<sup>[240]</sup>ნიცა ჳადაგებენ<sup>4</sup> წიგნნი საეკლესიოთა მოთხრობათანი; სარწმუნოებისა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი საეკლესიოთა ქართიელთა ნათესავისა, საკრველთ-მოქმედებითა ნიშნებმოსილთა სასწაულთადათ; რაემს იგი ქართველთა მეფემან მირიან, მე-

<sup>1</sup> წმიდაჲ—A. <sup>2</sup> ქეანითა A. <sup>3</sup> რე B. <sup>4</sup> ჳაგებენ A.

ფეთა შორის დიდისა კოსტანტინესა მივლინებითა და მისგან გამოთხოვითა მეფობისა თვისისა, ქალაქად მცხეთად შთაიძუ- ვინა ევსტათი დიდი — საყდრის მპყრობელი ანტიოქელთა ეკლესიისა.

და წმიდათა მიერ კელთა მისთა ნათელ-ილო მან და ყოველმან ერმან ქართლისმან, და თუთ პატრიარქთა შორის სახელგანთქმულმან ევსტათი კელთა თვისითა შთადეა საფუძველი ნაშინ სადმე მცხეთის აღშენებულისა ეკლესიისა, რომელიცა ფრიადისა თანა ველსმოდ- გინებობსა განასრულეს რაჲ მით განწმედა იგი, და კელთდასხმულ ყო მას შინა მათთვის ეპისკოპოსი-კათოლიკოსი.

ამან საუკუნოდ ქსენებულმან მეფემან კოსტანტინე შეკრიბა პარველი და მსოფლიომ წმიდაჲ კრებამა ნიკეას სამას ათრეამეტთა წმიდათა მამათა, რომელთა დასხნეს კანონნი რი- ცხეთ ოცნი; რომლისა პარველად ქმნილ იყვნეს სხუანიცა ადგი- ლობითი კრებანი: პირველი ანკვრას, რომელსა დაესხნეს კა- ნონნი ოცდაათნი; მეორე ნეოკესარას, დამსხმელი კანონ- თა ათოთხმეტთა.

ხოლო შემდგომად დიდისა მის და მსოფლიოსა კრებისა სხუა- ნიცა იქმნეს ადგილობითი კრებანი, ვითარ-იგი დანგრასაჲ, რომლისა კანონნი არიან ოც; და კელად ანტიოქიისაჲ, დამსხ- მელი კანონთა ოცდახუთთა; ამათთა ლაოდნიკიისაჲ<sup>1</sup>, ფრი- გვიასა, და კანონნი მისნი — ოცდაერთნი.

ამათსა შემდგომად მეორე წმიდა და მსოფლიომ კრე- ხამა — კოსტანტინოპოლის, ასურგასითა წმიდათა მამა- თა, რომელთა კანონნი არიან რიცხვთ შუდ.

მერმე მესამე — ეფესოსის<sup>2</sup> წმიდა და მსოფლიომ კრებამა, მცირისა თევდოსის მეფის<sup>3</sup> მიერ შეკრებუ- ლი, რომელმან დასხნა კანონნი რვანი.

მეოთხე — ხალკიდონს, ეჭუსას ოცდაათთა წმიდათა მამათა მსოფლიომ კრებამა, კეთილად მსახურისა მარკიანე მეფისა მიერ შემოკრებული და განწმედა რიცხვთ<sup>4</sup> ოცდაერთთა.

მერმე — ადგილობითი კრებამა კართაგენისაჲ, და კანონ- ნი მისნი ას ოცდაათრეამეტნი<sup>5</sup>.

<sup>1</sup> რიცხვთ ოცნი მოციქულთანი A. <sup>2</sup> აფენს A. <sup>3</sup> ლაუდიკიისა A. <sup>4</sup> — ეფესოსისა მესამე B. <sup>5</sup> მეფის — B. <sup>6</sup> ოცდაათრეამეტნი B.

ხოლო მეხუთე მან წმიდამან და მსოფლიომან კოსტანტი- ნოპოლის შეკრებულმან კრებამან მცირედ იზრუნა სიეკლე- სითა ცნობითა განწმედასათს.

არამედ მეექვსე მან წმიდამან და მსოფლიომან კრებამან, იუსტინიანეს<sup>1</sup> კეთილად მსახურისა მეფისა, ველადეა შინა სამეფდომას პალატისასა შეკრებულმან, აღავსო დაკლებული მისი, რამეთუ დასხნა კანონნი რიცხვთ ას და ორნი.

კელად ნიკიისა მეორემან წმიდამან კრებამან დასხნა კა- ნონნი ათრეამეტნი.

ამისსა შემდგომად არიან სხუანიცა ორნი მასვე სამეფდოსა ქ- ლექსა ელესიასა შინა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულ- თასა შეკრებულნი კრებანი, რომელთა განუწმედა კანონნი, რიცხვთ ათმუდმეტნი.

ხოლო წმიდასა და მეშუდესა წმიდათა ხატათს შეკრე- ბულსა მსოფლიოსა კრებასა განუწმედა კანონნი, რიცხვთ სამნი ოდენ.

ამათა წმიდათა კრებათა მიერ განწმედა კანონთა თანა არიან სხუანიცა თითოეულთა მამათა მიერ განწმედალნი და თანა აღრაცხულნი<sup>1</sup> კანონნი:

დუონესიოს ალექსანდრიელ მთავარ-ეპისკოპოსისა კანონნი ოთხნი;

პეტრე ალექსანდრიელთა მღვდელ-მთავრისა და მოწამისა კანონნი ათხუთმეტნი;

გრიგოლი ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკრ- ველ-მოქმედისა ეპისტოლე კანონიანი;

დიდისა პასილის კანონნი ოთხმეოცდახუთნი;

მისივე ეპისტოლე კანონიანი, დიოდორეს მიმართ;

მისივე ეპისტოლე კანონიანი, გრიგოლის მიმართ ზუქისა;

მისივე ეპისტოლე კანონიანი; ზორბასკოპოსთა მიმართ;

მისივე ეპისტოლე კანონიანი მის ტუეშეთა ეპისკოპოსთა მი- მართ;

მისივე, ამფილოქეს მიმართ სულისა წმიდისათს მიწერილ- თა მათ თავთაგან;

გრიგოლი ნოსელიისა კანონნი რვანი;

ტიმოთე ალექსანდრიელისა კანონნი ათხუთმეტნი;

ფილოთეოს ალექსანდრიელისა კანონნი<sup>2</sup>, ღმრთის გამოცხადებისათს თქმულსაგან;

<sup>1</sup> აღრაცხულნი A. <sup>2</sup> კანონნი — A.

მისივე სტუანი კანონნი აინი;

მისივე ეპისტოლე, აფიგონის მიმართ ეპისკოპოსისა;

მისივე ეპისტოლე, აგათონის მიმართ ეპისკოპოსისა;

მისივე ეპისტოლე, მინაჲს მიმართ ეპისკოპოსისა;

[241] კვრილე ილექსანდრიელთა მთავარ-ეპისკოპოსისა კანონნი შუნი, გენადი წმიდისა პატრიარქისა კოსტანტინეპოლელისა და მისთანა წმიდისა კრებისა ეპისტოლე, მიტროპოლიტთა მიმართ გარემოთა სამთავროთაჲსა.

ესე არიან შეკრებანი წმიდითა და საეკლესიოთა კანონთანი, დაბეჭდულნი და დამარხულნი, თვნიერ ყოვლისა შემატებისა და მოკლებისა, და ამათი მეცნიერებაჲ და შედგომა და მტკიცედ პყრობაჲ უკმს ყოველთა წინამძღუართა ქრისტიანობითისა მადიდებლობისათა: მღვდელთ-მთავართა, და მღვდელთა, და დიაკონთა, და ჩუენ შორის მოძღურად სახელდებულთა მათეა მონაზონთა, და ერთბამად ყოველსა საცესებს მართლმადიდებელთა ეკლესიისსა.

ბოლო ჩუენ ესე ამისთვის მოვიკსენიეთ, რათა პირველითგან პირი სიტყუსა ჩუენისაჲ განუპმართო.

ვინათგან დაბაბაღა ღმერთმან დასაბაბსა ხატებად და მსგავსებად თვისსა კაცი, ვითარცა პირველ ვიტყოდეთ, რათა მის მიერ, ვითარცა საზოგადოაჲსა საკრველისა მიერ, ხილულთა და უხილავთაჲსა, თავსა თვისსა შეაერთნეს ყოველნი საცნაურნი და გრძობადნი დაბადებულნი სათნოებით რაჲ, საკუთარ ექმნას იგი შემოკმუნდეს თვისსა.

ბოლო იგი ეგვეითარისა მის მადლთა სამდიდრისაგან განშეშულდა ცთომისა მიერ და განდგომილთა და რისხვეულთა მონათა მონებაჲ მოატყუთ თვისსა, არამედ არა სახიერმანცა დამბადებულმან მისმან, რამეთუ ვითარმცა თავს-იდეა უგულვებელსყოფაჲ ესოდენისა ქელთა მისთა საქმისაჲ, რომელ არს კაცი.

არამედ უხრწნელსა შინა საშოსა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისა და მარადის ქალწულისაჲსა არღარა პირველისაებრ იქუსა მადლით, არამედ გუამოცნებით შეაერთა იგი თავსა თვისსა და ზესთა ბუნებისა განადმრთო მის მიერ მიღებულ იგი და მისთანა ერთგუამქმნილი კაცი.

და რომელი-იგი იყო პირშოჲ ყოვლისა ავებულისაჲ, თავს იდეა პირშოჲ მრავალთა ძმათა შორის ყოფაჲ, რაჲთა სახელისა მისისა მიმართ წოდებულნი და მადლით ძმად მისსა აღსაარებულნი,

რომელი-იგი ყრმათაჲცა ეზიარა კორცილთა და სისხლითა და ვეამოდ ერთისა მის ყოველთაქითავისა გამოჩინებულნი, მუნ აღმოცენნეს ქელად გამკროცვლებითა თვისთა, სადა იგი თვთ არს თავი სასოვებისა ჩუენისაჲ; და თანა-მოქალაქე მეყენს წმიდითა და სახელულ ღმრთისა, და სამკვდრებელად მისსა გამოჩინნეს სულთა, რაჲმს თავისა მიმართ შემოკრბეს<sup>1</sup> თითოეულუბაჲ ძათა განყოფილებსაჲ და თვისა მიმართ გარდანივთოს ვითარებაჲ ყოვლისა აღსუარულსაჲ.

ვინაჲცა ამისთვის მოგუეცნეს პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული; ამისთვის იქმნა განკაცებაჲ ღმრთისაჲ; ამისთვის ქალწულისაგან შობაჲ, ზაგაჲ, წარგრაგნაჲ, ანჯელოზნი მადიდებულნი, ვარსკვლავისა სრბაჲ, მოგუთა ძღუნის-შობრთუშელობაჲ, წინადაცუთაჲ, ნათლის-ღებაჲ, ზეცით წამებაჲ, განკცაჲ, ქოლვაჲ ჩუენთვის და ტებანი უგრებელსანი, განკცაჲ, შესსკვალვაჲ, დაფლვაჲ, აღდგომაჲ, აღსღვაჲ ზეცად; ამისთვის — ქადაგებანი მოციქულთანი, აღდგომანი, სწავლანი მოძღუართანი, ოფლნი ღირსთა მამათანი, გულს-მოდგინებანი კეთილად მსახურთა და მორწმუნეთა მგუეთანი, წადიერებანი ღმრთის-მოყუარეთა მთავართანი, კანნიერებანი ღმრთის-სახისა მღვდელთ-მთავრობისა რწმუნებულთანი, წინამბრძოლისა თვისსა თანა სიქმნით თანა-მბრძოლებანი მღვდელთა და სამღვდლოთანი, ცოდვისა მიმართ სიქმნით წინაგანწყობანი, ნივთთაგან განშიშულებულთა მონაზონთა დასისანი და მათთანა ერთგობანი ქრისტეს მოყუარისა ერისანი.

ამისთვის იქმნეს ქრისტეს-მოყუარეთა და ღმრთივ-დაცველთა მგუეთა მიერ ეამად-ქამადნი კრებანი, ღმრთის-მოყუარეთა ებისკოპოსთა და ღმრთის სათნო-ყოფილთა მამათანი, რაჲთა სიქმეთა მიერ განსრულებულთა სარწმუნოებითა შეაერთნეს ღმრთისა ქრისტეაენნი.

რომელთასა კეთილად ებაძეა შერსა ჩუენიცა ესე გვრგვინისანი, მრჩობლ-მარჯუნენ და შეყუარებულნი, გვრგვინ თავისაჲ და სასურველი ძე და ეითი; რომელი-ესე ერთბამად მცნეცა არს და ბძენ, მართალ და წმიდა, იგივე მუდროცა და მშუდ, სახიერ და ტბილ; მოწყალე და ძვრსკენებელ და მისგავსებულ სახიერებასი[242] ღმრთისსა, რომელი აღმოტბრყენებეს მზესა კეთილთა და ბოროტთა, და ზრდის ყოველთა წმინთა სწორობით.

1 აღიყენნეს B. 2 შემოკრბეს A. 3 თითოეულუბაჲ B. 4 დღსი A.

ესე ვინაითგან გარეშითა ბრძოლითა შინა წინადატდგრომელო-  
ბით უბრძოლელ<sup>1</sup> და გარეშისა სახისა ქმნულებითა სხუთა კაცთა-  
გან შესწორებულ შეუძლებელ იყო, რამეთუ კეთილ დიდ არს ვითარ-  
ცა გმირი, შუენიერ არს ვითარცა სიძე, ბრწყინვალე არს ვითარცა  
ციციანი, ნაყოფიერ არს კეთილთა მიერ ვითარცა აღმოსავალი, ყუა-  
ვილოვან წარმატებათა მიერ ვითარცა სამოთხე ღმრთისაჲ, არა  
თავს-იღვა, რამათა არა უმეტეს მოლუაწე იქმნეს განბრწყინებულ  
შინაგანათა სიკეთეთა სულსათა; ვინაითგან იგიინი წარმდინარ, ხო-  
ლო ესენი დაუსრულებლობასა თანა ღმრთისასა-თანა დაუსრულე-  
ბელ არიან.

ამისთვის შემოკრიბა<sup>2</sup> კრებამ ღმრთის-მოყუარეთა ეპისკოპოს-  
თა, პატრიარხთა მღვდელთა და ღირსთა დიაკონთა, ქრისტეს-მოყუა-  
რეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და შეუღებულთა, სანახებთა  
ქართლისათა, მახლობელიდ ორთა საეპისკოპოსოთა რუისა  
და უტბნასისა<sup>3</sup>; გარნა არა თუ უბიწოებსა ქართველთა სარ-  
წმუნოებისსა ბიწი რამე შეჰპებოდა, ნუ იყოფინ ესე, არა გეც-  
რუენეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიო,  
არცა განგვეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომ-  
ლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინაითგან შეუმცნებასა შენსა  
ღირს ქმნულ ვართ, მოწამე არს ჭეშმარიტებაჲ; არამედ სხუთა სა-  
ეკლესიოთა და სამღვდლოთა, და საქართველოთა ძიებათაჲს, რომ-  
ელთა თვე, და წინამძღუარ, და პირწმიდისა მის კრებისა იყო,  
ღმრთისა მიმართისა საკუთრებისა-თანა სიმშვიდითაჲ სულსათა  
მიმსგავსებულო მოსესი, და მსგავსად დიდისა სამოკელისა<sup>4</sup>  
წინა მოკლევი ერისაჲ და მცხებელი მადლით სრულყოფილითა  
იოვანე — ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი, კათოლიკო-  
სი<sup>5</sup> და ყოვლისა საქართველოჲსა დიდი მამათ-მოთავარი, და მის  
თანა სიმრავლე პირველ ქსენებულთა მათ საესებისა.

**[კანონთა ბნძხთი]**

**[უღირს ეპისკოპოსთა განკუეთა მღვდლობისაგან]**

[V] 1\*\*\*. და პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ-ღირსებით შე-  
მოსრულნი პატრისა მღვდელთ-მოთავრობისსა და უღირსნი ქრისტეს,

<sup>1</sup>—ყო. B. <sup>2</sup> შემოკრიბა A. <sup>3</sup> ქმნილ A. <sup>4</sup> სამოკელისსა AB.

\* მარკვენა კიდევ გასწვრივ მხედრულად: „რეთის და უბნის კრება დაეთა შეფისაგან“.

\*\* გასწვრივ მარკვენა კიდევ მხედრულად: „წი თოფინამ კრების მოწყვილ“.

\*\*\* ხელნაწარში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

პირველისა მის მწყემსთ-მთვარისანი, განკუეთენით და უცხო-ვეყმ-  
ნით მღვდლობასაგან, ვინაითგან არაწმიდისა შეტებაჲ სიწმიდეთა  
არა-უცხოიმელობა არს და მახლობელი ღმრთისაჲ მახლობელ ცეც-  
ლისა არს, და უტბს, რამათა ყოვლითურთ ოჭრო იყოს;

ხოლო არა კრულ ვეცენით და არცა შევიხრენით, ნუ იყოფინ,  
არამედ ლიტონთა ერისკაცთა-თანა ზიარებად ფლობილ ვეცენით,  
უაუთოვ ოდენ ამიერიოვან მმარსხველ იყვენენ სიწმიდისა.

და ნაცვალად მათდა სხუანი დავადგინენით, რომლისა ჰასაკისა-  
განცა და საქმეთაგან ბქუნდა წამებამ და კეთილად განწყუარონენ  
კორკნი დამორჩილებად სულისა.

**[განწყებუა სამღვდლოთა ხელთდასხმისა]**

2. ამას-თანა სულ-მოკლებამაცა კელთ-დასხმათაჲ, ვითარცა უწე-  
სიოჲ და უჯანონოჲ, დაეპქსენით\*.

და განვაწესეთ, რამათა ამიერიოვან არღარა-ვინ იკადროს ქმნად,  
თუნებერ ვითარ-იგი განაწესებს კანონი<sup>1</sup>; რამეთუ ეპისკოპოსი ოცდ-  
ათხუთმეტისა წლისაჲ, მღვდელი ოცდაათისა წლისაჲ, დიაკონი ოც-  
დახუთისა წლისაჲ და წიგნის მკითხველი რეთისა წლისაჲ კელთ-  
დასხმულ იქმნებოდინ.

ამას თანა სხუიცა უწესოა<sup>2</sup> წესი კელთ-დასხმათაჲ დაქსნად  
განვაჩინეთ: ვითარცა მასვე და ერთსა დღესა კელნი დაქსნეს ვის-  
მე წიგნის-მკითხველად, კერძო-დიაკონად, დიაკონად და მღვდლად,  
ანუ თუ ეპისკოპოსადცა რომელი-ესე უკუეთუ იქმნას-ლა სადა  
ამიერიოვან, კელთ-დასხმული და კელთ-დასხმული ერთბამად  
განიკუთნენ მღვდლობისაგან, რამეთუ პირველად წიგნის-მკითხვე-  
ლად და კერძო-დიაკონად ოდენ ვერ-არს კელთ-დასხმაჲ, და ორისა-  
ვე ამისა ერთსა დღესა შესაძლებელ არს ქმნად და მერმე დიაკო-  
ნი; და ვითარცა დაყვენეს დღენი დიაკონობასა შინა და მჰსახუროს  
მღვდლოთა არა მკორფდთა დღეთა, მერმელა მოიყვანონ მღვდლობად.

ხოლო უკუეთუ ეპისკოპოსობად მომავალ იყოს, შემდგომად  
წვდთა დღეთა<sup>3</sup> [243] ეამის-წირვისა<sup>4</sup> მოიყვანონ კელთ-დასხმად ეპის-

<sup>1</sup> ერისკაცთა კაცთა B. <sup>2</sup> არღარ B. <sup>3</sup> უწესი B. <sup>4</sup> უწესი—B. \* ვერ-  
არს] ვერ არ არს B. \* მომავალ B. \* დღეთა]—მერმელა მოიყვანონ მღვდლ A.

\* ეამის-წირვისა] წირვისა A.

\* გასწვრივ მარკვენა კიდევ მხედრულად: „მღვდლისა და მთავრის კრებებე-  
აქ იკითხეთ და ისე კნითა წესი“.

კომოსობისა, და ამას ვიტყვით მათთვის. რომელთა საჭიროა რამე მი-  
წეხა ასწრებდეს, ხოლო რომელთა არცა ერთი-რამ აქტნდეს სა-  
თნადოა მიწეხი მასწრებულად. მათ წელწადი და წელ-  
წადნი დაყენენ თვითველსი ხარისხსა შინა და უფროსსა-და დიკო-  
ნობისსა, ვინათგან თვნიერ დიკონთა სიმრავლასა, ვერამ მიიღებს  
შეუნიერებასა საეკლესიოთა წესთაგანი. ამისთვის ვამცნებთ ყო-  
ველთა ეპისკოპოსთა, რათა უფროსსა-და დიკონთა განმრავლები-  
სითვის მოღუწე იყვნენ ეკლესიათა შინა მათთა.

ხოლო მონაზონთა, რომელნი მღვდლობად და ეპისკოპოსობად  
მოძველ იყვნენ, პირველად სრულიად მონაზუნად<sup>1</sup> დიდითა სქემი-  
თა უბრძანებთ განსრულებასა, და ეგრეთა მღვდლობად მოსვლასა.

8. ხოლო წესი კელთ-დასხმადთა სრულებისა ეგრეთ აღსრუ-  
ლებოდელ, ვითარცა ახალთა შინა კურთხევითა ნეტარებით მოქსე-  
ნებულთა შამისა გიორგი მთაწმიდელისათა დაწერილ  
არს, ეგრეთვე — ერთხვევა ეკლესიისა, და დამყარება საკურთხე-  
ველისა, და წმიდა-ყოფა ღმერთ-ყოველისა მიპრონისა, ეგრეთ  
სრულ იქმნებოდელ, ვითარცა ჰენ-შინა მოქსენებულ არს.

4. ხოლო ქრთამისათვის<sup>2</sup> და საღვთისა, რომელსა მოღებენ კელთ-  
დამსხმელნი, კელთდასხმადთაგან, ზემოთთაგანისა წმიდათა მოცი-  
ქულთა და შამათა მოციქულისაგან, განწინებულ ვიკატრებთ ზუნცა, რა-  
თა მოსხმოს ეგვიპთარ-ივი ეკლესიისაგან და აღიკოცოს მღვდლო-  
ბისაგან, მაკურთხეველისა თვისთა თანა, რომლისა ქმნად ამირითგან  
ნულარამცა-ვის უკატრების, რათა არა-ივაცა შეესძინოთ, ვითარ-  
მღ შეიფუნოს ვითარცა სკომონ მოგვ პეტრე მოციქულისაგან და  
ნუცა მიიღებენ რამეთუთით ნუ-რა-რას, ნუ იღეს: ნუცა პირველ  
კელთ-დასხმისა, ნუცა თუთ მას კელთ-დასხმისა შინა, ნუცა შემდგო-  
მად კელთ-დასხმისა, ნუცა ქრთამისა, ნუცა ძღუენსა, ნუცა ევლო-  
გისა, ნუცა კათოლიკოსი ეპისკოპოსთაგან, გინა ხუცეს-დიკონთა  
და ზორებისკოპოსთა, ნუცა ეპისკოპოსნი დიკონთაგან და მღვდლ-  
თა და ზორებისკოპოსთა, ნუცა [V] რათ სხუთთა სამღვდლოასა და-  
სისაგანთა ანუ რომელთავე საეკლესიოთა მნეთაგან.

[განწესება სამღვდლო სამკაულთა ხმარებისა]

5. მერმეცა სამღვდლოთა კურტელთა და ღმერთისადა შეწი-  
რტელთა სიწმიდითათს, რომელ არიან: ბარძიმ-ღუშუემ, სამწირო-  
ბელნი და ყოველივე ეკლესიათადა შეწირული და ერთგვის ღმრთი-

<sup>1</sup> ასწრებდეს A. <sup>2</sup> მასწრებულად A. <sup>3</sup> მონაზონად B. <sup>4</sup> მონასის A.  
<sup>5</sup> სკომონ B. <sup>6</sup> გინა... ხორებისკოპოსთა B.  
<sup>7</sup> განწირობე მარტენი კიდევ მხდებულად: იგი ქრთამ კურთხევისა.

სადა მიცემული, თქრობ, ვეცხლი, თუალი, მარგალიტი, ჰიქია, სტა-  
რაჲ, ნაქსოვი, სინი, რეალი, რიხია, ძელი, ვეცი, ქვაჲ, ამას განვანუ-  
სებთ შედგომითა წმიდათა კანონთაათა, რათა არა-ვის გულწინის  
ქმარებად მისსა არა-რად, არცა ტყუეთა საქმარად, დაღათუ ცუ-  
დადცა და უკმარად მდებარე იყვნენ და ფერკითა დასათარგუნველად<sup>1</sup>  
ისხნენ ეკლესიისა შინა და საქურტელსა მისსა.

ხოლო უკეთე ვინმე იკადროს ამოთგანისა რამსაცა ვარგებით  
მის ეკლესიისა, და თვნიერ მისსა ვითარ-ივი განწესებულ იყოს, და  
ვითარ სხუდცა სამსხურად ეკლესიისა, ანუ საკურთხეველისა შე-  
ქმნილ იყოს, სხუდ რადცა ქმარებად, მოელოდელ აქა უკეთე ბა-  
ბილო ვენელთა მეფეთსა ბალტისარის და ინანიამხ  
და საბჭირამხ სახეცლსა; ხოლო ჰენ-ცეცხლსა საეკლესიასა,  
განმზადებულსა უშაკითავს<sup>2</sup> და ანგელსთა მისთათს.

[განწესება გვრგვნი კურთხევისა]

6. ამასთინა ვსეცა მოვიცხნეთ, ვითარმდ თვნიერ ეკლესიისა  
და საკურთხეველისა არცა ნათლის-ცემად შესაძლებულ არს, არცა  
გვრგვნი კურთხევა, არცა მონაზუნისა ეპისტოლითა გინა სქემითა  
კურთხევა, და არცა მონაზონისა ხუცესსა გვრგვნი კურთხევა<sup>3</sup>  
ქელ-წინებების, არცა ერისკანსა მღვდლსა მონაზონისა კურთხევა.

ხოლო შემდგომად გვრგვნი კურთხევისა პირველთა და მეო-  
რეთა ცოლ-ქმართა წმიდათა საიდუმლოთა ზიარებად უკმ მას დღე-  
სა, რომელსა იკურთხნენ უმეუელად, არა თუ გარდაკულთა რაათ-  
მე ბილწებითა შებღალულ იყვნენ, დაღათუ უზიარებლობითაცა  
განკანონებულ იყვნენ, და ჰერმე აღსრულება კანონისა უზიარებ-  
ლობისა მათისასა.

ხოლო მეორე[244]ეთა გვრგვნი მაკურთხეველი ხუცესი სამ-  
ხრობად ნუ მივალს მათ თანა, ხუცამცა მეორეთა ცოლ-ქმართა პირ-  
ველნი გვრგვნი კურთხევიან.

ხოლო სხუებრ და არა ესრეთ მოქმედი ამითი ხუცესი უკუ  
განკუეთისა, ხოლო ერისკაცი უზიარებლობისა თანამდებ იყოს.

7. კელად ამცა განვსაზღვრებთ, რათა აპერითგან არორა  
ეკურთხეოდინ გვრგვნი ჩნულთა ქალ-კმათა, არამედ უკეთეთ საჭი-

<sup>1</sup> დასათარგუნველად A. <sup>2</sup> უშაკითავს B. <sup>3</sup> რათამე A.  
<sup>4</sup> ვარგისი A.  
<sup>5</sup> განწირობე მარტენი კიდევ მხდებულად: გვრგვნი კურთხევისა პირველსა  
და მეორესა ზიარება ქრ არს.

როდ რადმე იყოს, შრობელთა მათთა<sup>1</sup> დიად დაუწინდენ ივიან<sup>2</sup> ურ-  
თიერთს, და რაემს პასაკად მოვიდენ ორნივე, მაშინ ექორწინენ.

და ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროსი ნუქცა შევიდოდ არს  
ქორწინებით შეუღლისადა, ხოლო ამის განჩინებისა დამკსნელი, თა-  
ნამდებ იყავნ ზემოქსენებულსა მის განჩინებისა.

### [განწიება ქორებისკომოზისა]

8. კათოლიკოსისა და ეპისკოპოსთაგან ხორებისკომოსი სეუ-  
ლისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდემ<sup>3</sup> მღვდელი  
ანუ დიაკონი და შიშითა ღმრთისაათა ემცნებოდელ მას უბოროდ და-  
ცეაა ყოველთავე საქრისტეანთთა წესთადა, რაათა არა რაა მათგანი  
განსცეს ქრთამისათვს, არცა რაა განვიდოს ეცხლად, ვითარცა იუდა  
უფალი; რაათა არა შიშთვილიცა მისი დაიშკდროს.

### [განწიება შოდღართა]

9. შემდგომად ამისა ამისიცა სათანადოდ ეპგონეთ მოკსენე-  
ბადა, ვინაათგან შოდღურად წოდებულთა მათ მონაზონთადა ღრადი  
და აღურიცხველი არს სიმრავლე, და ერთისა მონასტერისა შინა  
ზუთნი და აინი, მრავალგზის ოცნიცა და ოცდაათნი იპოებიან, დი-  
დი თუ იყოს მონასტერა და მრავლისა შფოთისა და განხეთქილები-  
სა მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი, ამისთვის განვარჩებთ, რაა-  
თა ამიერთგან დსცტრეს ესეკითარი ესე უწესობადა.

და პირველად ამის განვსაღზერებთ, რაათა უმღვდელსა არა  
კელ-ეწიფებოდის განმკითხველობად სულთა, არა თუ ეპისკოპოსი  
იყოს, ანუ მღვდელი, ანუ დიაკონი, რამეთუ პირველად შეკრებისა და  
განსკნისა კელ[V]წიფებებასა უკმს ქონებად, და ეგრეთ-ლა განკითხვი-  
სა სულთასა კელ-ყოფად; ამის თანა, რაათა დიდთა მონასტერთა  
შინა ორ-ორი, ხოლო<sup>4</sup> მკირეთან<sup>5</sup> შინა თითოდა ხოლო ემა იყოს მომ-  
ღლარი.

და უკუეთუ ვინმე ამას განჩინებისა გარდაბდეს, უკმუელად  
ესმეს მას. ვითარმედ ხოლო კლდომისაგანთა მათ და ურჩითა კემარო-  
ტებისათა და მორჩილთა სიკრულსათა რისხეადა და გულის-წყრომადა,  
ჭირი და იწროებადა და შემდგომი.

<sup>1</sup> მათ A; <sup>2</sup> იგი A; <sup>3</sup> გამოირჩეოდელ B; <sup>4</sup> ხოლო<sup>4</sup> და B; <sup>5</sup> მკირათა A.

### [სამოქალაქო და სოფლიო წესი არა ჭერ-არს მონასტერთა შინა]

10. წესი იგი, რომელსა კრებულთა დასხმად უწესენ, ნუღარამ-  
ცა კაღრებულ არს ქმნად ამიერთგან, ნუცა მონასტერთა შინა შექ-  
მნადა საეპქროთა ერის კრებათადა, ნუცამცა-რადა სხუადა სამოქალაქო  
და სოფლიო წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა ოღესცა, რაათა არა  
სალოცველთა მათ აღგილთა ქუბა-ავაზაკთა შექმნითა, სულთაცა  
თქუენთა საფარდულები საღმრთოთასა სიტყუსა მიერ დაიქცეს, ვი-  
თარცა მევერმეთა მათ ტაბლები, და წმიდათა შამთა და კრებათა  
მიერ განკანონებისა თანამდებ იქმნეთ.

### [განწიება ეამის-წირვისა]

11. ხოლო ერთსა საკურთხეველსა და მასვე და ერთსა წინადა-  
გებასა ზედა წმიდისა შესაწირავისასა მრავლთა სულთათვს მრავ-  
ალთა მღვდელთა მიერ ქმნადა წმიდისა ეამის-წირვისადა უწესო არს  
და განგლებულ, რომელი-ესე ნუღარამცა სადა ქმნილ არს.

უფროასლა თიად საკურთხეველსა ზედა დიდისა ეკლესიისასა,  
საეპისკოპოსოთასა ვინა მონასტრისასა, ერთისა არავისთვის წეს-არს  
ეამის წირვად არაოდეს, არცა ცოცხლისა, არცა მიცვალებულისა-  
თვს\*, თვნიერ აღმათა და სულისა საკსენებულად განჩინებულთა  
დღეთადასა, არამედ მის ეკლესიისა მანებებულთა და შემოწირ-  
ველთა.

და ერთბამად ყოველთა სულთა<sup>2</sup> ქრისტეანეთა ცოცხლთა და  
მიცვალებულთათვს ჭერ-არს ეამის-წირვადა, ხოლო ერთისა კაცისა-  
თვს, ანუ ერთისა სულისათვს ეგრეტრთა სადმე შინა, ანუ შტოთა  
ეკლესიისათა ჭერ-არს თითოეულისა ზუცისაგან ეამის-წირვადა.

### [მწვალებელთა და წარმართთათვს]

12. რომელნიცა ღმრთის მანებებულობითისა მის წვალებისაგან  
[246] ხაიფცართადასა, რომელ არიან სომეხნი, მართალსა და უზაკუ-  
ველსა სარწმუნოებისა მოუკლებოდინ, და წმიდისა კათოლიკე მ-  
ლსისასა შეერთებოდინ, და ბიწისა მას წვალებასა ერთ-ბუნებისათა,  
და ერთისა ნებისა და ერთისა მოქმედებისა ღმრთეებისაგან და კა-  
ტებისა შეზავებულისა, და არცა საღმრთოთასა, არცა კაცობრივისა,  
არამედ შერეულსა რაასმე და უტროასა, ქრისტეს, კემაროტისა  
ღმრთისა ჩუენისა, ზედა სიჩქურით მეტყუელთასა შეაჩუენებდენ.

<sup>1</sup> შამი მიერ A. = სულთა—A.

\* განწიროე მარტებსა კლდზე მღვდელად: წირვის რიგი მიცვალებულთა  
და ცოცხლთა.

ესრეთ განეაწესებთ მათთვის, რათა სრულიად ნათელ-სცემდნენ, ვითარცა წარმართსა, ვინადაცან სხუათაჲ დიდთა ეკლესიათა ვაპო-  
ებთ მოქმედად ამისსა, ვითარ იგი არს საპატრიარქოად საყდართ ანტიო-  
ქიისა, და ყოველნი მიმდგომნი მისნი ეკლესიანი ყოველსა აღმო-  
სავალისანი.

13. კუვლად განეაწესებთ, რათა არცა მართლმადიდებელი მა-  
მაიკი მწველბელსა ვინა წარმართსა დედაცასა, ანუ დედაცაე მა-  
მაიკსა შეეუღლნენ, ვინადაცან ყოველი მართლმადიდებელი ტაძარ-  
ი არს ღმრთისაჲ, დამკედრებულისა მის მიერ სულისა მისისა  
ჩუენ შორის; ხოლო ყოველი ბოროტად მადიდებელი, ანუ ყოველად  
არამადიდებელი ტაძარი არს ეშმაკისაჲ; ხოლო ვითარმედ არცა  
ერთი ზიარებამ არს ტაძრისა ღმრთისაჲ კერპთა თანა, ვითარ-იგი  
ბნელისაჲ ნათლისა თანა — მოწამე არს საღმრთოჲ მოციქულნი.

ხოლო რომელმან ამიერიოვან იკადროს-და ქმნად ამითი, ვანი-  
კანონის იგი პირველ თქმულთა მით კანონითა.

#### [გვრგვნთა კიდეს-კიდე კურთხევასოვს]

14. ვინადაცან ესეცა უწყსოებამ მრავალთა მიერ აღსრულებუ-  
ლად გუესმა, უფროსისა დიდთა ვიეთმე და წარჩინებულთა და არა  
ლიტონად კაცთაგან ქმნილად, რომელ არს კიდეს-კიდე და არა ერთ-  
ვან კურთხევამ გვრგვნთამ ქორწინებით ერთ-გორც ქმნილთა მეუღ-  
ლეთამ, ვითარ-იგი ჰყოფენ უსჯულოებით დედაციცისსა შაუე  
სწესსა ვინმე უცხოისა მამაკაცისა თანა ვურთხევას; ხოლო მამაკაც-  
ისსა მამაკაცისავე სხესა თანა, რომლისაჲ რამცა იყო სხუად უწყე-  
ნოვნი და უსაინელესი; ანუ არა ყოველითურთ მსგავს არსა, მა რ-  
კიონის-მწველბელთა მიერ შეკდრისა-წილ ნათლისცემასა ცო-  
[V]ცხალისსა; რამეთუ ესე ერთვან კურთხეულნი მამაკაცი და დე-  
დაცაი ნუქუთა<sup>1</sup> შეირახნენ ნახევარ-მემრუმედ ცოლ-ქმრად, ვი-  
ნადაცან სხესა იკსენების სახელი, და სხუად წარმოდგომილ არს  
მუნი; ხოლო ორთა მათ ერთვან კურთხეულთა მამაკაცთათჳს რაჲ ვინ  
მოიგონოს სახელი, გარნა თუ ვინმე ვრცელთა სიცილითა განბას-  
როს ესეერთადი ესე სჯულისა, და კეთილისა წესიერებისა ჩუენისა,  
და კაცობრივისა ქვევისა, და ჩუეულებისა გარეგანი უსჯულოებამ,  
რომლისათჳს ამის განვასაზღვრებთ: რომელნიცა მოაქმედე ეს-  
რეთ კურთხეულნი ყოფილ არიან და გარდასრულ არიან, იგინი შენ-

<sup>1</sup> არამადიდებელი B. <sup>2</sup> სხუა—B. <sup>3</sup> და—B. <sup>4</sup> ნუქუთა—და B.

\* მარკეანა კიდეს-კიდე ვასწავროვ მდღერულად; სომეხი ამბავს მოგახსენებს.

ღობილ არიან უმეცრებისათჳს; ხოლო უკუეთუ აწ საღმე იბოენენ  
ვინმე ვევეითარნი<sup>1</sup>, იგინი სჯულოერად ცოლ-ქმრად ნუქუა შერა-  
ცილ არიან.

ამიერიოვან ეულა ნულარამცა ვისგანმცა<sup>2</sup> კადრებულ არს ქმნად  
ამისი, და უკუეთუ იქმნის სადა, ოთხნი იგი კურთხეულნი და ორნი  
მაკურთხეველნი მათნი ხუცესნი, — ექუსნავე განიკანონენ<sup>3</sup>.

#### [განჩინება სოდომური ცოდვისათჳს]

15. მერმეცა ღმრთის-მოძაგებულისა მის და ღმრთის-განმამწა-  
რებულისა, ცოდვითა-უბილწესისა სინაველებისა სოდომელთასა,  
რომლისაჲ არა უწყით<sup>4</sup>, თუ ვითარ შეეთესა იგი უბადრესა ამას  
ნათესავსა და სრულიად განაშორნა და უცხო-ყენა ღმრთისაგან,  
უეთთანაცა შოა თაქისა მისადრეველი.

ამას განვასაზღვრებთ სიკუცთა ღმრთისათა და სამოციქულო-  
თა კმითა<sup>5</sup> და მამობრივითა განჩინებითა: დადათუ მრავალგზის  
ქმნილ არიან მრავალთა ნათესავთა მიერ მრავალნი და რიცხუსა მძლე-  
ნი ცოდვანი, ვითარ იგი: მტერობანი, შურნი, სიძულინი<sup>6</sup>, კაცის-  
კლენი, მრუშებანი, ცრუ-ფიცებანი და უეუანამსკენელი და თაქი  
ყოველთა ბოროტთა — კერპთ-მსახურებამ, და თაყუანისცემისა  
შეცუალბამ დაშაღებულისაგან<sup>7</sup> დაბადებულნი მიმართ. გარნა,  
არცა-ერთისა მათგანისათჳს აღძრულ არს აღუძრველი იგი, ვითარცა  
თუ იტყოდა აზრასამის მიმართ, ვითარმედ დაღადებამ სო-  
დომისა და გომორისაჲ მოიწია ჩემდა და გარდამოვედ ხელად<sup>8</sup>,  
უკუეთუ დაღადებამაგერ მათისა არიან საქმენი [246] მათნი; რომ-  
ლისა შემდგომად იხილეთ თუ რაჲ იქმნების, და თუ ვითარ ნივინი  
ესე სამსახუროდ კაცთათჳს დაბადებულნი ღმრთისაგან, წინაუღუმო  
ბუნებისა თვისისა, შესცვალბენ ბუნებისა ძალსა თვისსა, და უცხო-  
ისა ცოდვისა აღსაქოცლად უცხოისა მოიბოებენ მოქმედებასა.

რამეთუ მარადის აღმართ მოძრაი და სუბუქი ზუნებამ ვთე-  
რისა ცეცხლისაჲ, ვითარცა ზრქელი რამე და მძიმე, დაღმართ  
ჰკოფს დამოღინებასა და, სახედ მადფრისა წვებისა, საშინელებით  
მჩქეფროს<sup>9</sup> აღრეული წუნწუბასა<sup>10</sup> თანა, მრისხანედ განსაღეუნე-  
ლად უკეთურთა მათ სიბილწეთა მრავალითა კაცთა.

<sup>1</sup> ვინმე ევეითარნი [სიცილიანი] ვინმე B. <sup>2</sup> ვინადაცან ვისგან B. <sup>3</sup> განიკან-  
ონონ A. <sup>4</sup> უწყით B. <sup>5</sup> კითა A. <sup>6</sup> სიძული B. <sup>7</sup> დამადრებისაგან A. <sup>8</sup> ვითარ  
B. <sup>9</sup> მჩქეფროს B. <sup>10</sup> წუნწუბასა A.

\* შტრ. შესქეუთა 19, 27—28.

ხოლო წყლული და თხელი უფერული ბუნებაჲ ჰაერისაჲ, მიწე-  
ნი ცხოველთა აღმოფხვნიისა და სიცოცხლისაჲ, სიზრქედ აღმურ-  
სა<sup>1</sup> ქვირისა, და ფერად კვლით საძიებელისა ბუნებად, და შემამ-  
თობელად კუამლად, სისწაულად რისხვისად, შესტეალებს თავსა  
თვისსა მათ ზედა.

ამათ თანა ქუეყანაჲ, მყარი და მტკიცე და მტვრთველი სიძი-  
მისა მას ზედა მდებარეთა გუამთისა, ვერღარა იტვრთავს სიმედგრე-  
სა ბილწებთა მათთისა, არამედ პირველად შესძრავს სიფუძველთა  
თვისთა და სიღრმით იატაკთა თვსთაჲთ აღმომდღუარე, პერად აღ-  
მოიხედავს<sup>2</sup> სიღრმეთა საუბრეველისა მათისა სიმტკიცეთისა; და მიწად  
გარდამოიხედავს სიმაღლეთა გოდოლ-ტაძრებისა მათისა სიმაგრე-  
თისა.

მერმე განადგებს ვიდრე მუნ-ჟამამდე განუღებულსა პირსა და  
თანად-ქალაქებითურთ და სახლებით შთანთქმის<sup>3</sup> არღარა კაცებსა,  
არამედ დამწურებსა რასმე მუალებსა, და ოდესმე ყოფილთა კაცთა  
საწყალობელსა ნეშტებსა.

ხოლო წყალი იგიცა უცნოდ იხილვების შეცვალეზულად მათ-  
თვის და არღარა საშუებელად და საქმრად, არამედ, სხუათა ნივთთი-  
ვან დამთოძილისა ნეშტისა მათისა აღსაკოცელად პირსა ზედა მათ-  
თეულისა ქუეყანისა, უფროსდა საფლავ მათდა ქმნილისა ჭოჭობე-  
თისა, იხილვების მოდინებულად, [V]ეგოდენ შეცვალეზული სხუათა  
წყალითვან ბუნებითა, რაოდენ იგინი სხუათა კაცთა მპატდენ<sup>4</sup> ბილ-  
წებისა გარდარეველებითა.

ამან უსკულოებამან ასურასტანელთა იგი უმრავლესთა ნაწილ-  
თა ქუეყანისათა დამპყრობელი მეფობაჲ ტყუედ წარუქცია სპარსთა  
და მიდთა და სრულიად აღმოაბნურა ქუეყანით საქსენებელი, არა  
ხოლო მეფე და მძლავრი, არამედ კაც-ყოფისაცა მათისაჲ.

ამან ცოდვამან დიდი იგი და ყოვლით-ყვრით ყოვლისა ქუეყა-  
ნისაჲთ კმა-განსმენილი ნათესავი სომეხთაჲ, მეფობითურთ და მთავ-  
რობით მათით, არა ოდენ დაამდაბლა და დაამტუა, არამედ სრულიად  
აღიღო კაცთაგან სახელი მათი, რომელთაჲ ვერცინ პრის დღეს ერ-  
თოცა მეფე ანუ მთავარი, მქონებელი დაემონებელისა თავისუფლე-  
ბისაჲ, დაღათუ ყოველიცა ვინ პირი მიწისაჲ მოიხილოს<sup>5</sup>.

ამან ბილწებამან სპარსთა იგი მაღალი, და მარადის პრობთა მე-  
ფობისა მჭლომა-ფლობაჲ, მტეცის ბუნებათა ვითმე კაცთა აებაჯე-

<sup>1</sup> აღმორისა B. <sup>2</sup> აღმოქედას A. <sup>3</sup> შთანთქმის AB. <sup>4</sup> რაოდენ A. <sup>5</sup> მპა-  
ტდენ ს<sup>1</sup>თა კ<sup>1</sup>თა B. <sup>6</sup> მოიხილოს A.

რითა ზედა-მოსლეთთა, მიწადმდე დამდაბლებულიყო, და ვიდრე  
მოაქამდე მძლავრებისა მათისა მოჩილ ყო.

ესე არა უწყით, თუ ვინაჲ უკეთურებით შემოეხრწნა მოქალა-  
ქობასა ქრისტეს მოსახელისა<sup>1</sup> ერისსა, რამეთუ რაჲ ზიარებაჲ  
იყო ბელიარისა ქრისტესთანა და, კელსა უცხო თესლთასა მიცემით  
დასასრულ მახვლსა მათისა ქმნითა, ნეშტნი ოდენდა დამიტენა ის-  
რაშლისანი, რომელნი უკუეთუ ვეგნეთ-და მასვე უკეთურებასა ზედა,  
ოჲ ჩემდა, დაკოდუმო მნელ-სიტყუაჲ, რომელი ყოფილთაჲ ცხად  
არს, დაღაცათუ ჩუნენ ვპრიდით.

ამისთვის ვამცნებო ყოველსა დაღსა და მცირესა, მდიდარსა და  
გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიორსა, მღვდელთა  
და უმღვდელთა, მოწესეთა და ერისკაცთა, ბერთა და ქაბუკთა, და  
შუა-კაცთა ყოველსა პატივისა და ყოველსა წესისა და ყოველსა მსაკ-  
სა ვანყენებდა ამის კნების უფროსა-და საძაველისა ბილწებისა.

და ესრეთ დაუშტიცებთ, სახელითა უფლისა ჩუნენისა იესუ  
ქრისტესითა: ყოველმან სულმან ქრისტეანემან მართლმ<sup>2</sup>[247]დიდე-  
ბელმან, ამათ სიტყუათა მსმენელმან, რომელმან შემდგომად ამის  
ძე გ ღ ი ს ა წარკითხვისა, არა იუმანს ბილწისა მის სოდომურისა  
ცოდვისაგან და, არა ხოლო საქმით ქმნისა მისისა, არამედ რეცა ლა-  
ლობით ფერებისა და სიტყუთ თქუმისა, რათაცა სამოსითა და მისთა  
დამსახველთა სიტყუითა და საქმეთაგან, უეჭუელად მოიწიოს მის  
ზედა ამას უეფე საწუთოსა საშინელი რამე და ცოცხლად ჭოჭობე-  
თად შთამტველი რისხეაჲ, მსგავსად წუნწუნებისა<sup>3</sup>-თანა აღრეულისაჲ  
მის სოდომელთა ცეცხლისაჲ.

ხოლო მუნ-იგი მიმთუალველ ექმნეს მას, რომელი ვალს წინა-  
შე პირსა უფლისასა და შესწუევის ვარემოსს მისსა მტერთა მისთა,  
ვინაჲთგან სიყუარული კორკთაჲ მტერობაჲ არს ღმრთისაჲ, და რო-  
მელმან განხრწნას ტაძარი ღმრთისაჲ, განხრწნეს იგიცა ღმერთმან,  
და ამას თანა და ჩუნენგან, უღირსთა მონათა საღმრთოთაჲ მონებისა  
ღირს-ქმნულთაჲსა, ში ჩუნენდა, არღარა კერთხევაჲ, არამედ კდე-  
მაჲ და მხილებდა დაიკვდროს საუფუნოჲ.

16. ხოლო ვინაჲთგან მიზეზად ურთიერთის პატივით თაყუნის-  
ცემისა ჩუნენ შორის მყოფი ხატება ღმრთისაჲ აღსაარებულ და ქა-  
დაგებულ არს დიდთა მოძღუართა და მამათა ჩუნენთაგან, ცხად არს,  
ვითარმედ თაყუნანს-მცემელი ხატისა ღმრთისაჲ ღმერთსა თაყუ-  
ნის-სცემს მის მიერ, მაკინებელიცა საღმრე ხატისა ღმრთისაჲ ღმერ-

<sup>1</sup> შემოიხრწნა B. <sup>2</sup> მოსახელისა B. <sup>3</sup> წუნწუნებას A. <sup>4</sup> ზ<sup>1</sup>და B.

სა აგინებს ეგვიპტელად, ვითარცა წმიდითა შორის დიდნი ბასილი და ესრეთ დაწერს ამს.

ამისთვის განკმაზღვრებთ, რაათა ესეცა ღმრთის-შეჰაწებებელი და ღმრთისა ნეტარცხსამყოფელი ცოდვად სრულიად მოისპოს ყოვლისაგან ენისა და ნათესაისა ჩუენისა.

და რომელმან ამიერივთაგან შეაგინოს-ლა სული, გონება და პირი თვისა უსახურითა! გინებითა, ზემოწერილისა ამის თანამდებელს იგვიცა ვანკანონებდას\*.

#### VI მხედისა ღაგიტოს მონაწილისა ბაგდის

ამითა მომართ რასა იტყვ, რომელსა მხიბრმისს მხოყვარებ შენ უფროსად ბრწყინვალეო თუალო ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგულობისათ!

რომელი ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყაროა ხელულისა სოფლისა შორის;

საზინო, ვითარცა მზე ვიარსულავთა შორის;

ბრწყინვალე, ვითარცა ვიერი ნივითა შორის;

ნათლის-ფერ, ვითარცა ელვად ღრუბელთა შორის;

ციცქროვან, ვითარცა აღმოსავალი კერძითა შორის;

ტბილ, ვითარცა არე ტბითა შორის;

ღმრთის სახე, ვითარცა საყუარელი კერძითა შორის;

გულის სათქემელ, ვითარცა ოქროა მიწათა შორის;

ელვარე, ვითარცა ვაკინთი ქვითა შორის;

მაღალ, ვითარცა ფინიკი ნერვთა შორის;

შუენიერ, ვითარცა ვარდი ყუავილთა შორის;

აღმატებულ, ვითარცა სამოთხე ქუეყანისა შორის;

ძლიერ, ვითარცა ღომი მტეცთა შორის;

მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუყუეთელთა შორის;

სახელგანთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის;

ახოვან, ვითარცა ისო წინა მბრძოლთა შორის;

მოშურნე, ვითარცა ფინჯხ მღვდელთა შორის;

მწე, ვითარცა სამეფონ მსაჯულთა შორის;

უბრძოლელ, ვითარცა აქილდე ელლუნთა შორის;

ბრმენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის;

მშველ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის;

\* უსახურითა A.

\* ქვემოთ კიდევ ნუსხა-ხეცეოთი: ანთა ქრისტე შეწვალე სული ფირიდ სოფელისა შინა ღმრთისა ტფილელი იოსებს.

ნურს-მეტიებულ, ვითარცა იოსაია მარაყანდელთა შორის; უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის; განმადიდებელ ფლობისა; ვითარცა ავღვსტოს კეისართა შორის;

კაცობოყუაო, ვითარცა ჩემი იესო ღმერთთა შორის;

ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთ-ქმნულთა შორის;

მეურვალე, ვითარცა პეტრე მოწოდეთა შორის;

საყუარელ, ვითარცა იოვანე მეგობართა შორის;

მკვრცელ, ვითარცა მავლე მოციქულთა შორის;

სახს-დასაბამ უცილობელსა ქრისტეანობისა, ვითარცა დიდი

კოსტანტინე თვთმყრობელთა შორის;

სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თევდოსი სკიპ-

ტრის მყრობელთა შორის.

მადისათა თრინან ცხენი მფედროებასა შენსა; განსუენებულ არსა ამო ზედა სიბოროტისა სულთა მდევნელი დავითიანი სული შენი, რომელნი ესე აწ მღუნად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა ამათა ნაზრეველთა სიმარაღისამან, რათა შენ მიართუნე ესენი ღმერთსა და მოწყალე ჰყო ამით მიერ წყალობის მოყუარე უფალი, რომელ მოსწრაფებით შემოყრებამ უბრანე შენ, და დიდისა ამის და ღმრთისა სათნოსა წარმარებისა თანა შეამდგომელად ღმრთისა მომართ მოიფენ, ვითარცა საყუარნი მონანი, რათა რომელიმე ღმრთისა სახისა მღვდელთ-მთავრობისა მიერ მამლობელ ექმნებოდს შენთვის ღმერთსა; ხოლო რომელიმე მღვდელთ-მეწინიერითა მეტებითა შეწავსუთერბოლის დამბადებელსა; სხუასა სულთქუმანი მოაქუნდენ, სხუასა ჯანდნობად ერემოთა, სხუასა დამე-ყოველობითი მღვდარებანი, სხუასა კნელ-სარეცლობა, სხუასა რაბათურთითი არარას ქონება კერსოსასა ყოველსავე ღმრთისასა, მხოლოდ კორცთა ოდენ და მათცა მარხვითა განუღუელთა; სხუასა სიტყუა, დღათუ მდაბალი და უფლო, ვარნა არავე უფროა, არცა უმუსაყელთა მომზიდველ ყოფად სმენისა, ამის თანა შემსაგვსებელიცა ძალსადა, ყოველთა ვედრება, ყოველთა ლიტანიობა, ყოველთა ერთგობა; ვითარმედ დავით კეთილად მსახურისა და ღმრთი-დაცულსა მუფისა ჩუენისა მრავალმცა არიან წვლიანნი.

#### მოსაყანდებელი

კეთილად მსახურისა და ღმრთი-დაცულსა მეფისა ჩუენისა გიორგი მეფეთა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლისა და დასავალისა კეაროსისა, მრავალმცა არიან წვლნი.

კეთილად მსახურისა და ღმრთის-მოყუარისა დედოფლისა ჩუენისა მართა ავღუსტინისანი, მრავალმცა არიან წელნი.

დავით ღმრთის-მსახურისა და ღმრთივ-დაცველისა მეფისა ჩუენისა აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა თვთმყრობელისა, მრავალმცა არიან წელნი.

წმიდისა დედოფლისა და ღმრთივ-სულიერისა დედისა ჩუენისა, [X] მართიამ მონაზონისა, საუკუნომცა არს ქსენება.

იოვანე წმიდისა მთაერაბსკობოსისა, ჩუენისა, კათოლიკოსისა და ყოვლისა საქართველოასა ყოვლად ღირსისა მამათ-მთაერისა, მრავალმცა არიან წელნი.

წმიდისა ბერისა და სულიერისა მამის ჩუენისა ეგესტრატო მონაზონისა, მრავალმცა.

ღირსისა მეუფისა ჩუენისა და თულად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და შწიგნობართა უხუცესისა, მრავალმცა.

ყოვლად ღირსთა კრებისა ამის ყოველთა მამათა მღდელმთავართა, მღდელთა და მონაზონთა, მრავალმცა.

სკულიერისა მოღუაწისა არსენი მონაზონისა კალიძელისა, მრავალმცა.

ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან, ყოველნი მწვალებელნი შერეუნებულ არიან.

კეთილად მსახურთა და მართლმადიდებელთა პირველ აღსრულებულთა სანატრელთა მეფეთა ჩუენთა, საუკუნომცა არს ქსენება და კურთხევა მათი\*.

სანატრელთა და წმიდათა კათოლიკოსთა და ნეტართა მღდელმთავართა და მღდელთა, საუკუნომცა.

საუკუნოასა ნეტარებისა ღირსთა და დიდთა მნათობთა ჩუენთა ეფთჳმი და გიორგი მთაწმიდელთა, საუკუნომცა.

ღირსთა მამათა ჩუენთა დავით ტბელისა და სტიფანე სანანოას ძისა, საუკუნომცა.

დაუსრულებელისა ნეტარებისა მკვდრთა, ბერთა ჩუენთა, საბასულაძის ძისა და ანტონი ტბელისა და ეფრემ

\* აქ შემოკლებულია სხვათა მღვდელთა და მთავართა სახელები.

1 მრავალმცა საუკუნომცა არს ქსენება და კურთხევა B. 2 მრავალმცა საუკუნომცა არს ქსენება B. 3 მრავალმცა საუკუნომცა არს B. 4 მრავალმცა საუკუნომცა არს კურთხევა და B. 5 არს ქსენება B.

მკირაძისა და არსენი მონაზონისა იყალთელთა საუკუნომცა.

ღმრთივ-მოყუარულთა მამათა, ეფთჳმი გრძელისა, იოვანე რეხუცის ძისა შვილითურთ, მიქელ ჭუაიძისა და გიორგი ბერისა საუკუნომცა.

თულად ვიტყვით: ყოველნიმცა მწვალებელნი შერეუნებულ არიან.

ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან. ყოველთა მართლმადიდებელთა წელნიმცა მრავალ არიან.

ყოველთა მართლმადიდებელთა საუკუნომცა არს ქსენება. ყოველნი მწვალებელნი საუკუნომცა შერეუნებულ არიან.

ყოველთა მწვალებელთა, საუკუნომცა არს წყევამ და დაუსრულებელ შერეუნება\*.

7. [სიომლიპის წინამძღვრის რიგი განანილი მამა სვიმეონის მიერ]

[XII ს. (?)]

... ვითარცა ქრისტეს ღმრთისაგან და ყოვლად წმიდისა დედოფლისა ღმრთისა მშობელისაგან გამორჩეულ არს თქვენდა წინამძღვრად მოვლინებულისა, ჰნებავს ღმერთსა და საწინამძღვრო კურთხევა გულთა მიეცით და საქდომსა და პატეისა დაისუფლეთ და იყოს უცვალებლად; და არა თუ გამოჩნდეს მის თანა საქმე წვალება, მონასტრისა ირგულება, ანუ მეფეთა დღატი და რჯულისა შეცოდება.

თუ მას ესე არა სჭირდეს, დაემორჩილოს ყოველი, ვითარცა ქრისტესა ღმერთსა; და ვითარცა თუ ღმერთსა ევრაინ იყადრებდეს უნებელსა\* მისსა.

კინცა იყადროს, წინამძღვრომი არს ღმრთისა, ვითარცა თუ თავადი ღმერთი ზრძანებს, ვითარცა: «რომელმან თქუენი არა ისმინოს, ჩემი არა ისმინოს; და რომელმან თქუენ შეურაცხავოს, მე შეურაცხავიყავს»\*. და მოციქული იტყუს, ვითარცა: «დაემორჩილენით წინამძღვართა თქუენთა და ეტყოდით ყოველსა საქმესა».

ეგრეთვე უკმს წინამძღვართა ღმრთისა! მიერ გამორჩეულთა წყევამსა და მოძღუარსა მათსა.

1 საუკუნომცა საუკუნომცა არს ქსენება და კურთხევა B. 2 არს ქსენება და კურთხევა B. 3 წა. 4 უნებელსა. 5 ღმრთისა. 6 ზრძანებს. 7 შეურაცხავს. 8 იტყუს.

\* შემოკლებულია სხვათა მღვდელთა და მთავართა სახელები. \* შდრ. ლუკა 10, 16.